ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2239203

ნომერი: AR1346933

თარიღი : 05.10.2015

გაცემის თარიღი : 12.10.2015

გაცნობის თარიღი : 12.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი III , N71 , (ნაკვეთი 01/017) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი შარაშიძე პ/ნ 01009004220
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 6 ბ. 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21.08.2015წ. N2149626 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 05/10/2015წ. AR1346933 განაცხადით მომართა ირაკლი შარაშიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 21.08.2015წ. N2149626 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 21.08.2015წ. N2149626 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვარტალში, №71-ში (ნაკვეთი 01/017), შპს „m2 ნუცუბიძეზე“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.14.03.001.017), შერეული ფუნქციის (საცხოვრებელი, კომერციული) შენობა-ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, 21.08.2015წ. N2149626 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში, ტექნიკური შეცდომის გამო, არასწორად დაფიქსირდა მაჩვენებლები, რის გამოც, წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 21.08.2015წ. N2149626 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 14394.9, კიბის უჯრედისა და სადარბაზოების ფართობი (კვ.მ).: 3881.6 კვ.მ.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტთან. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების აღნიშნული ცვლილება, ასევე გამოიწვევს ბრძანებაში დაფიქსირებული საერთო ფართობის მაჩვენებლის შეცვლას, რომელიც ცვლილებების შედეგად შეადგენს: 24750.4 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21.08.2015წ. N2149626 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში და დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 24750.4, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 14394.9, კიბის უჯრედისა და სადარბაზოების ფართობი (კვ.მ).: 3881.6 კვ.მ, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 21.08.2015წ. N2149626 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.